საქართველოს იუსტიციის
სასწავლო ცენტრი

სსიპ საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი მიერ 2020 წელს სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოში საქართველოდან წარსადგენი მოსამართლეობის კანდიდატობის მსურველთა შერჩევის ეტაპის ადმინისტრირების

ა ნ გ ა რ ი შ ი

2020 წელი

სარჩევი

1. სამართლებრივი საფუძველი 3
2. ვაკანსიის გამოქვეყნება და ინფორმაციის გავრცელება 3
3. განაცხადების მიღება 5
3.1. შემოსული განაცხადების სტატისტიკა / კანდიდატთა რაოდენობა 7
3.2. განაცხადების რეგისტრაციის წყარო 7
3.2.1. კატეგორიები 7
4. კანდიდატების შესახებ ინფორმაცია 8
5. ტესტირება 10
6. მთავრობისთვის კანდიდატის წარდგენა 12

1. სამართლებრივი საფუძველი

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 30 იანვრის N59 დადგენილებით დამტკიცებული „2020 წელს სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოში ასარჩევად საქართველოდან წარსადგენი მოსამართლეობის კანდიდატის შერჩევის წესის" (შემდგომში - შერჩევის წესი) მე-2 მუხლის შესაბამისად, სსიპ საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრმა უზრუნველყო შესარჩევი პროცედურების კოორდინაცია და გამოცდის ორგანიზება/ადმინისტრირება.

დადგენილების ფარგლებში იუსტიციის სასწავლო ცენტრს დაეკისრა საქართველოს მთავრობისთვის არაუმეტეს ხუთი კანდიდატის წარდგენა, რომლებიც ტესტირებაში მიიღებდნენ არანაკლებ 6 ქულას.

შერჩევის წესის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრმა განაცხადების მიღება დაიწყო 2020 წლის 03 თებერვლიდან და გაგრძელდა 20 თებერვლის ჩათვლით, 17 კალენდარული დღე.

შერჩევის წესის მე-2 მუხლით, იუსტიციის სასწავლო ცენტრი ვალდებული იყო საქართველოს მთავრობისთვის საუკეთესო კანდიდატი წარედგინა არაუგვიანეს 2020 წლის 28 თებერვლისა. 2020 წლის 21 თებერვლის N126 დადგენილებით აღნიშნული ვადა შეიცვალა და გახანგრძლივდა 2020 წლის 06 მარტამდე.

2. ვაკანსიის გამოქვეყნება და ინფორმაციის გავრცელება

შერჩევის წესის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, 03 თებერვალს, იუსტიციის სასწავლო ცენტრმა საჯაროდ გამოაქვეყნა ინფორმაცია ვაკანსიის შესახებ და უზრუნველყო მაქსიმალური ხელმისაწვდომობა **(იხ. დანართი N1, განაცხადი**).

ინფორმაცია მიეწოდა:

- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს
- საქართველოს უზენაეს სასამართლოს
- საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს
- საქართველოს პროკურატურას
- საქართველოს ადვოკატთა ასოციაციას
- საქართველოს მედიატორთა ასოციაციას
- საქართველოს ავტორიზებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს, რომლებიც ახორციელებენ სამართლის პროგრამებს
- სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსათვის საქართველოს კოალიციის ხელმძღვანელ ორგანიზაციას, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას.

2020 წლის 31 იანვარის N14/48 წერილით იუსტიციის სასწავლო ცენტრმა მიმართა სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემას სამართლის მიმართულებით ავტორიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების იდენტიფიცირების

მიზნით. იუსტიციის სასწავლო ცენტრმა ვაკანსიის შესახებ ინფორმაციის გავრცელება უზრუნველყო სწორედ წარმოდგენილი ნუსხის შესაბამისად (**იხ. დანართი N2, ნუსხა**).

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსათვის საქართველოს კოალიციის წევრი ორგანიზაციებისა და ამ სფეროში მომუშავე სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის *(საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (GYLA), საერთაშორისო მართლმსაჯულება (Justice International), კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრი (ICCN), კონსტიტუციის 42-ე მუხლი (Article 42), წარმების მსხვერპლთა ფსიქო-სოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის საქართველოს ცენტრი (GCRT), ადამიანის უფლებათა ცენტრი (HRC)* ინფორმაციის მიწოდების მიზნით, წერილი გაიგზავნა სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსათვის საქართველოს კოალიციის ხელმძღვანელ არასამთავრობო ორგანიზაცია **- საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში.**

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოში საქართველოდან წარსადგენი მოსამართლეობის კანდიდატის შერჩევის პროცესის ფარგლებში, ჯამში შეტყობინება/წერილი[1] გაიგზავნა 6 - უწყებაში, 1 - არასამთავრობო ორგანიზაციაში და 29 უნივერსიტეტში.

2020 წლის 6 თებერვალს, ვაკანსიის შესახებ დეტალური ინფორმაციის მიწოდების მიზნით, უწყებებისა და ორგანიზაციების უფლებამოსილ პირებთან განხორციელდა სატელეფონო კომუნიკაცია.

2020 წლის 11 თებერვალს, 11:00 საათზე, საინფორმაციო შეხვედრის ფარგლებში მოწვეულმა პირებმა[2] დეტალური ინფორმაცია მიიღეს ჰააგის სასამართლოში საქართველოდან წარსადგენი მოსამართლეობის კანდიდატის შერჩევის კრიტერიუმებისა და გასავლელი პროცედურების შესახებ. შეხვედრას, საქართველოს პროკურატურის, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს და არასამათვრობო ორგანიზაციების - საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა

[1] ვაკანსიის შესახებ ინფორმაცია გაიგზავნა ელექტრონული დოკუმენტბრუნვის პროგრამით - „დეს"-ის მეშვეობით, აგრეთვე, ორგანიზაციების ოფიციალურ ელ, მისამართებზე.

[2] შეხვედრის შესახებ ელექტრონული მოწვევა გაიგზავნა დადგენილებით გათვალისწინებულ ყველა უწყებაში, არასამთავრობო ორგანიზაციებში და უნივერსიტეტებში.

ასოციაციის და ადამიანის უფლებათა ცენტრის - წარმომადგენლები ესწრებოდნენ (იხ. დანართი N3).

შერჩევის პროცესის ხელშეწყობისა და ინფორმაციის მაქსიმალურად გავრცელების მიზნით, სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციამ, აგრეთვე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულმა ფაკულტეტმა, უზრუნველყო ვაკანსიის განთავსება ოფიციალურ ვებგვერდებზე.

ინფორმაცია ვაკანსიის შესახებ გავრცელდა სხვადასხვა საინფორმაციო სააგენტოს მიერ (საქ. ახალი ამბების სააგენტო - GHN და სხვ.). ამასთან, 06-07 თებერვალს, პირველი არხისა და TV იმედერის მიერ მომზადდა შესაბამისი რეპორტაჟები, რომელიც გავრცელდა სატელევიზიო ეთერით.

<u>განცხადება გამოქვეყნდა, სხვადასხვა საკომუნიკაციო საშუალებით:</u>

- შპს „ჯობს.გე“-ს ადმინისტრირებულ ვებგვერდი - www.jobs.ge;
- სსიპ საჯარო სამსახურის ბიუროს ვებგვერდი - www.hr.gov.ge;
- იუსტიციის სასწავლო ცენტრის ვებგვერდი- www.tcj.gov.ge;
- სოციალურ გვერდი- (Facebook: იუსტიციის სასწავლო ცენტრი -TCJ იხ. ბმული)
- საინფორმაციო შეხვედრა[3] - იუსტიციის სასწავლო ცენტრის ადმინისტრაციული შენობა (საკონფერენციო N2) (იხ. ბმული).
- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სოციალური გვერდი (Facebook: თსუ იურიდიული ფაკულტეტი)
- საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სოციალური გვერდი (იხ. ბმული).
- საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ვებგვერდი (იხ. ბმული).

3. განაცხადების მიღება

მოსამართლეობის მსურველმა კანდიდატებმა შესარჩევ კონკურსში რეგისტრაციის მიზნით, განაცხადები წარმოადგინეს, როგორც ელექტრონულად[4] (ელ. მისამართი:

[3] საინფორმაციო შეხვედრაზე მოწვევა ელექტრონული ფოსტის საშუალებით გაიგზავნა, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, დადგენილების ფარგლებში განსაზღვრულ უწყებებში და არასამთავრობო ორგანიზაციებში.

[4] სსიპ „სმართ ლოჯიქის“ (IT მომსახურებაზე პასუხისმგებელი უწყება) უფლებამოსილი პირების დახმარებით, მითითებულ ელექტრონულ მისამართზე შეიზღუდა წვდომის უფლება. ამდენად, მეილზე წვდომა გაუაქტიურდა, მხოლოდ ერთ მომხმარებელს, ცენტრის მთავარ იურისტს, რომელმაც უზრუნველყო განაცხადების მიღება/ადმინისტრირება.

administracia@tcj.gov.ge) აგრეთვე, მატერიალური სახით, ცენტრის ადმინისტრაციულ შენობაში, მისამართზე: ქ. თბილისი, ანა პოლიტკოვსკაიას ქუჩა, N1.

2020 წლის 30 იანვრის N59 დადგენილების მე-2 მუხლის შესაბამისად, მოსამართლეობის კანდიდატებს უნდა წარმოედგინათ:

ა) **ავტობიოგრაფია** (Curriculum Vitae), როგორც ქართულად, ასევე ინგლისურად ან ფრანგულად მთავრობის დადგენილებით დამტკიცებულ სამოდელო ფორმატში;

ბ) ცალკე ფურცელზე **ახსნა**, თუ როგორ აკმაყოფილებდნენ შერჩევის წესის მე-2 მუხლით დადგენილ კრიტერიუმებს, როგორც ქართულად ასევე ჰააგის სასამართლოს ერთ-ერთ სამუშაო ენაზე (ინგლისური ან ფრანგული);

გ) ინფორმაცია **ჰააგის სასამართლოს რომელ სამუშაო ენაზე** (ინგლისური ან ფრანგული) სურდათ საკონკურსო პროცედურების გავლა;

დ) ინფორმაცია **„კატეგორია A“-ს (სისხლის სამართალი), თუ „კატეგორია B“-ს** (საერთაშორისო სამართალი) ფარგლებში სურდათ საკონკურსო პროცედურების გავლა;

ე) მთავრობის დადგენილებით დამტკიცებულ სამოდელო ფორმატის ავტობიოგრაფიაში მითითებული ინფორმაციის **დამადასტურებელი საბუთები.**

3 თებერვლიდან 13 თებერვლის ჩათვლით, განაცხადი წარმოადგინა სულ ცხრა კანდიდატმა, რომელთაგან შერჩევის წესის მე-2 მუხლით დადგენილ მოთხოვნებს აკმაყოფილებდა ორი კანდიდატი. წარმატებული ორი კანდიდატიდან, ერთ-ერთის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში გამოვლინდა ხარვეზი, რომლის აღმოსაფხვრელადაც, შერჩევის წესის შესაბამისად, მას განესაზღვრა სამდღიანი ვადა. აღნიშნულ ვადაში კანდიდატმა არ წარმოადგინა საჭირო დოკუმენტაცია და დამატებით გვაცნობა, რომ აღარ სურდა კონკურსში მონაწილეობა.

წარმატებულ კანდიდატთა სიმცირის გამო, განაცხადების მიღების ვადა **გაგრძელდა 2020 წლის 20 თებერვლის ჩათვლით**, რის შესახებაც ინფორმაცია მიეწოდა დადგენილების მე-3 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ ყველა უწყებას, მიმდინარე წლის 14 თებერვალს.

2020 წლის 20 თებერვალს, დამატებულ ვადაში, განაცხადი წარმოადგინა კიდევ ერთმა კანდიდატმა, რომელსაც შერჩევის წესის მე-3 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, დოკუმენტაციის სრულყოფილად წარმოსადგენად განესაზღვრა სამდღიანი ვადა. კანდიდატმა თანხმობა განაცხადა დოკუმენტაციის მხოლოდ ნაწილობრივ დაზუსტებაზე და ასევე ითხოვა, რომ წერითი დავალება შეესრულებინა მისთვის სასურველ დროს მარტის თვეში საზღვარგარეთ, სადაც ის ამჟამად ოჯახთან ერთად ცხოვრობს და მუშაობს. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსთან თანამშრომლობით, კანდიდატის მოთხოვნა ნაწილობრივ დაკმაყოფილდა და მისთვის შეთავაზებულ იქნა მისივე სურვილის შესაბამისად, წერითი დავალების შესრულება მოცემულ ქვეყანაში საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობაში, 25 ან 26 თებერვალს. საბოლოოდ, კანდიდატმა უარი

განაცხადა ტესტირებაში მონაწილეობაზე, აღნიშნა რა, რომ ის ვერ მოასწრებდა მომზადებას. მან ითხოვა თავისი კანდიდატურის მოხსნა გამოცდიდან (დანართი N4, კანდიდატის მიერ წარმოდგენილი ელ.წერილი).

3.1. შემოსული განაცხადების სტატისტიკა / კანდიდატთა რაოდენობა

ა) 2020 წლის 03 თებერვლიდან 13 თებერვლის ჩათვლით (10 კალდენარული დღე) სულ შემოვიდა 9 განცხადება.
ბ) 2020 წლის 13 თებერვლიდან 20 თებერვლის ჩათვლით (7 კალდენარული დღე) სულ შემოვიდა 1 განცხადება.



3.2. განაცხადების რეგისტრაციის წყარო



3.2.1. კატეგორიები



- კონკურსის ფარგლებში წარმოდგენილი 10 განაცხადიდან, მხოლოდ სამმა დაკმაყოფილა საკვალიფიკაციო მოთხოვნა, მათ შორის, ერთი იყო - “A” კატეგორიის მოსამართლეობის მსურველი, ხოლო 2 -“B” კატეგორიის.
- ორმა უარი განაცხადა კონკურსში მონაწილეობაზე, ხოლო ერთმა,“B” კატეგორიის მოსამართლეობის მსურველმა კანდიდატმა წერა გამოცდა.

4. კანდიდატების შესახებ ინფორმაცია

შერჩევის წესის მე-2 მუხლის შესაბამისად, რეგისტრირებულ კანდიდატთა საკვალიფიკაციო მოთხოვნების დაკმაყოფილების თაობაზე ინფორმაცია (ასაკი, სამუშაო გამოცდილება, განთლება), დეპერსონალიზირებული სახით დეტალურად მოცემულია ცხრილში:

N	სახელი /გვარი	სქესი	35 წლის ასაკიდან	სამართლის მაგისტრის ხარისხი	10 წლიანი სამუშაო გამოცდილება სისხლის სამართლის ან საერთაშორისო სამართლის მიმართულებით	უცხო ენის ცოდნის დონე	განაცხადი წარმოდგენილია	სტატუსი
1	**კანდიდატი N1**	**კაცი**	**ვერ დააკმაყოფ.** მოთხოვნა (21 წელი)	**ვერ დააკმაყოფილა** საკვალიფ. მოთხოვნა - სრული ზოგადი განათლება	**არ აქვს** სისხლის სამართლის ან საერთაშორისო სამართლის მიმართულებით **სამუშაო გამოცდილება.**	ინგლისური B2	www.hr.gov.ge	ვერ დააკმაყოფილა საკვალიფიკაციო მოთხოვნა
2	**კანდიდატი N2**	**კაცი**	ასაკი - 53 წელი	**ვერ დააკმაყოფილა** საკვალიფ. მოთხოვნა - უმაღლესი განათლება, სამართლის მიმართულებით (ბაკალავრი)	**არ აქვს** სისხლის სამართლის ან საერთაშორისო სამართლის მიმართულებით **სამუშაო გამოცდილება.**	ინგლისური A1	www.hr.gov.ge	ვერ დააკმაყოფილა საკვალიფიკაციო მოთხოვნა
3	**კანდიდატი N3**	**ქალი**	ასაკი - 49 წელი	**ვერ დააკმაყოფილა** საკვალიფ. მოთხოვნა - უმაღლესი განათლება, ფილოლოგიის ფაკულტეტი (ბაკალავრი)	**არ აქვს** სისხლის სამართლის ან საერთაშორისო სამართლის მიმართულებით **სამუშაო გამოცდილება.**	ინგლისური B2	www.hr.gov.ge	ვერ დააკმაყოფილა საკვალიფიკაციო მოთხოვნა
4	**კანდიდატი N4**	**ქალი**	**ვერ დააკმაყოფ. მოთხოვნა** (28 წელი)	**ვერ დააკმაყოფილა** საკვალიფ. მოთხოვნა - უმაღლესი	**არ აქვს** სისხლის სამართლის ან საერთაშორისო სამართლის მიმართულებით	ინგლისური A1	www.hr.gov.ge	ვერ დააკმაყოფილა საკვალიფიკაციო

				განათლება, სამართლის მიმართულებით (ბაკალავრი)	**სამუშაო გამოცდილება.**			მოთხოვნა
5	**კანდიდატი N5**	**კაცი**	**ვერ დააკმაყოფ. მოთხოვნა** (25 წელი)	**ვერ დააკმაყოფილა** საკვალიფ. მოთხოვნა - უმაღლესი განათლება, სამართლის მიმართულებით (ბაკალავრი)	**არ აქვს** სისხლის სამართლის ან საერთაშორისო სამართლის მიმართულებით **სამუშაო გამოცდილება.**	ინგლისური C1	www.hr.gov.ge	ვერ დააკმაყოფილა საკვალიფიკაციო მოთხოვნა
6	**კანდიდატი N6**	**კაცი**	**ვერ დააკმაყოფ. მოთხოვნა** (25 წელი)	**ვერ დააკმაყოფილა** საკვალიფ. მოთხოვნა - უმაღლესი განათლება, სამართლის მიმართულებით (ბაკალავრი)	**არ აქვს** სისხლის სამართლის ან საერთაშორისო სამართლის მიმართულებით **სამუშაო გამოცდილება**.	ინგლისური B2	www.hr.gov.ge	ვერ დააკმაყოფილა საკვალიფიკაციო მოთხოვნა
7	**კანდიდატი N7**	**კაცი**	ასაკი - 47 წელი	უმაღლესი განათლება, სამართლის მიმართულებით - მაგისტრთან გათანაბრებული	**არ აქვს** სისხლის სამართლის ან საერთაშორისო სამართლის მიმართულებით **სამუშაო გამოცდილება.**	ინგლისური C2, ფრანგული C2,	www.hr.gov.ge	ვერ დააკმაყოფილა საკვალიფიკაციო მოთხოვნა
8	**კანდიდატი N8**	**კაცი**	ასაკი - 56 წელი	უმაღლესი განათლება, სამართლის მიმართულებით (მაგისტრი, დოქტორანტი)	აქვს სისხლის სამართლის მიმართულებით 11-წლიანი გამოცდილება, საერთაშორისო სამართლის მიმართულებით 29-წლიანი გამოცდილება, მათ შორის, აკადემიური და კვლევითი გამოცდილება.	ინგლისური C2,	administracia@tcj.gov.ge	**წარმატებული**

9	**კანდიდატი N9**	**კაცი**	ასაკი - 44 წელი	უმაღლესი განათლება, სამართლის მიმართულებით - მაგისტრთან გათანაბრებული	აქვს სისხლის სამართლის მიმართულებით 17-წლიანი სამუშაო გამოცდილება (ადვოკატი)	ინგლისური C2,	www.hr.gov.ge	**1. წარმატებული (ხარვეზის ვადაში არ წარმოადგინა დოკუმენტები) 2. უარი თქვა მონაწილეობაზე**
10	**კანდიდატი N10**	**ქალი**	ასაკი - 36 წელი	უმაღლესი განათლება, სამართლის მიმართულებით (მაგისტრი, დოქტორი)	აქვს სისხლის საერთაშორისო სამართლის/საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის მიმართულებით 10 წლიანი გამოცდილება, მათ შორის, აკადემიური და კვლევითი გამოცდილება.	ინგლისური C2, ფრანგული C2,	administracia@tcj.gov.ge	**1. წარმატებული (ხარვეზის ვადაში არ წარმოადგინა დოკუმენტები) 2. გამოცდის ეტაპზე უარი განაცხადა კონკურსში მონაწილეობაზე**

5. ტესტირება

N59 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საკონკურსო განაცხადების პირველადი გადარჩევის შედეგად, წარმატებული ერთი კანდიდატისათვის (კატეგორია B), ჩატარდა ტესტირება.

გამოცდის ხანგრძლივობაა - 6 (ექვსი) საათი.

შესვენება: 30 წუთი.

გამოცდის თარიღი/დრო: 2020 წლის 20 თებერვალი, 9 საათი.

მისამართი: იუსტიციის სასწავლო ცენტრი, თბილისი, ანა პოლიტკოვსკაიას ქუჩა N1, B3 აუდიტორია.

გამოცდის ფორმატი: ტესტირება ინგლისურ ენაზე (მათ შორის, თეორიული - 3 კითხვა, პრაქტიკული ნაწილი - 3).

ტესტირების პროცესზე, დებულებით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, დაკვირვება აწარმოა იუსტიციის სასწავლო ცენტრის ტესტირების კოორდინაციის სამსახურის უფლებამოსილმა პირ(ებ)მა (სესიების შესაბამისად). გამოცდის მსვლელობისას კანდიდატისთვის არ იყო ხელმისაწვდომი დამხმარე მასალა (სამართლებრივი აქტები, სახელმძღვანელოები და სხვა). აგრეთვე, ელექტრონულად ნაშრომის მომზადებისას, შეიზღუდა წვდომა ინტერნეტთან[5]. გამოცდის დასრულების შემდეგ, დამკვირვებელმა ამობეჭდა ნაშრომი, რომელიც ყველა გვერდზე ხელმოწერით დაამოწმა კანდიდატმა.

კანდიდატის მიერ შესრულებული საგამოცდო ნაშრომი, დეპერსონალიზირებული სახით გამოცდის დღესვე (20 თებერვალი), ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით იუსტიციის სასწავლო ცენტრის მიერ გაიგზავნა მოწვეულ ექსპერტებთან შესაფასებლად.

მოწვეული კონსულტანტების მიერ სამუშაო შესრულდა პრო ბონო სერვისის ფარგლებში. კერძოდ, თეორიულ საკითებზე სამი ღია კითხვა მოამზადა სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს ყოფილმა მოსამართლემ, ეკატერინე ტრენდაფილოვამ, ხოლო სამი კითხვა გამოცდის პრაქტიკული საკითხზე მომზადდა სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს ყოფილი განმწესრიგებლის, ჰერმან ვან ჰებელის მიერ. კონსულტანტებმა თანხმობა განაცხადეს თავიანთი ვინაობის საჯაროდ გამჟღავნებაზე საქართველოს მთავრობისთვის მათ მიერ განხორციელებული შეფასების შედეგების წარდგენის მომენტიდან.

კონსულტანტებთან კომუნიკაცია აწარმოა ცენტრის დირექტორმა, ელექტრონული ფოსტის მეშვეობით. შეფასების შედეგები იუსტიციის სასწავლო ცენტრმა მიიღო 2020 წლის 25 და 26 თებერვალს (იხ. **დანართი N5**, შეფასების ფურცელი). მიღებული შეფასებები, საგამოცდო ნაშრომი და კანდიდატთა მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია მატერიალური სახით ინახება ადმინისტრაციული სამსახურში.

კანდიდატთა მიერ ელექტრონულად წარმოდგენილი პერსონალური მონაცემების უსაფრთხოება უზრუნველყოფილის მიზნით, შესარჩევი ეტაპის დასრულებამდე ცენტრის ელექტრონულ მისამართზე (Administracia@tcj.gov.ge) შეიზღუდა მომხმარებელთა წვდომა (იხ. **დანართი N6**, ინციდენტის შეტყობინება), რაც, თავის მხრივ, გამორიცხავდა არაუფლებამოსილი პირებისათვის პერსონალურ მონაცემებზე წვდომას. ხოლო შერჩევის

[5] სასწავლო ცენტრის ლოჯისტიკის სპეციალისტის მიერ საგამოცდო აუდიტორიის სართულზე გაითიშაWIFI როუტერები. აგრეთვე, სსიპ სმართ ლოჯიქის დახმარებით ინტერნეტთან წვდომა შეიზღუდა კონკრეტულ ლეპტოპზე.

ეტაპის დასრულების შემდგომ განადგურდა ელექტრონულ მისამართზე არსებული ყველა კანდიდატის პერსონალური მონაცემი.

გამოცდის დაწყების წინ კანდიდატს განემარტა კონკურსის ფარგლებში პერსონალურ მონაცემთა დამუშავების/გავრცელების შესახებ ინფორმაცია (იხ. **დანართი N7** თანხმობა/ხელწერილი).

6. მთავრობისთვის კანდიდატის წარდგენა

შერჩევის წესის დაცვით 2020 წლის 05 მარტს იუსტიციის სასწავლო ცენტრმა საქართველოს მთავრობას განსახილველად წარუდგინა წარმატებული კანდიდატი, **ბ-ნი გოჩა ლორთქიფანიძე** (იხ. **დანართი N8**, წერილი № 14/273).

წერილის დანართად გაიგზავნა კანდიდატის ავტობიოგრაფია (*Curriculum Vitae*) ქართულ და ინგლისურ ენებზე, აგრეთვე ახსნა-განმარტება იმის შესახებ, თუ როგორ აკმაყოფილებდა კანდიდატი შერჩევის წესის მე-2 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით (კატეგორია B) დადგენილ კრიტერიუმებს.

საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი

დანართი N1

სიახლეები

(/thumb.php?w=800&h=600&render=resize&img=news%2F2020%2F02%2F03%2Ff2850ccbdd662ee12f4c0cbff6457f2a.jp

სსიპ საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი იწყებს 2020 წელს სამართლის საერთაშორისო სასამართლოში საქართველოდან წარს მოსამართლეობის კანდიდატობის მსურველთა საბუთების მიღებას

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 30 იანვრის N59 დადგენილებით დამტკიცებული „2020 წელს სისხ საერთაშორისო სასამართლოში ასარჩევად საქართველოდან წარსადგენი მოსამართლეობის კანდ წესის“ (შემდგომ - შერჩევის წესი) შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი განაც იწყებს.

განაცხადის წარდგენის ფორმა და ვადა:

მოსამართლეობის კანდიდატმა განაცხადი პირადად უნდა წარმოადგინოს იუსტიციის სასწავლო ცენტრ თებერვლის ჩათვლით შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: administracia@tcj.gov.ge (mailto:administracia@

განაცხადთან ერთად მოსამართლეობის კანდიდატმა უნდა:

ა) წარმოადგინოს ავტობიოგრაფია (Curriculum Vitae), როგორც ქართულად, ასევე ინგლისურად მთავრობის დადგენილებით დამტკიცებულ სამოდელო ფორმატში;

ბ) ცალკე ფურცელზე წარმოადგინოს ახსნა, თუ როგორ აკმაყოფილებს შერჩევის წესის მე-2 მუხ კრიტერიუმებს, როგორც ქართულად ასევე ჰააგის სასამართლოს ერთ-ერთ სამუშაო ენაზე (ინგლისურ

გ) მიუთითოს, ჰააგის სასამართლოს რომელ სამუშაო ენაზე (ინგლისური ან ფრანგული) სუ პროცედურების გავლა;

დ) მიუთითოს, „კატეგორია A“-ს (სისხლის სამართალი), თუ „კატეგორია B“-ს (საერთაშორისო სამართ სურს საკონკურსო პროცედურების გავლა;

ე) განაცხადს დაურთოს მასში მითითებული ინფორმაციის დამადასტურებელი საბუთები.

რომის სტატუტისა და საქართველოს მთავრობის 2020 წლის 30 იანვრის N59 დადგენილების შეს სასამართლოში ასარჩევად საქართველოდან წარსადგენი მოსამართლეობის კანდიდატი უნდა იყოს:

- მაღალი მორალური და პროფესიული რეპუტაციის მქონე პირი, რომელიც სრულყოფილად სასამართლოს ერთ-ერთ სამუშაო ენას (ინგლისური ან ფრანგული).

- საქართველოს ქმედუნარიანი მოქალაქე 35 წლის ასაკიდან, რომელსაც აქვს სამართლის მაგისტ არანაკლებ 10-წლიანი გამოცდილება. კანდიდატს აღნიშნული განათლება და გამოცდილება უნდა ჰ სამართლის ან საერთაშორისო სამართლის მიმართულებით. კერძოდ, “A” კატეგორიის კანდიდატებ სამართლის მაგისტრის ხარისხი, რომლის პროგრამაც მოიცავდა სისხლის სამართალს ან საერთაშ სამართალს და სისხლის სამართლის მიმართულებით მოსამართლედ, პროკურორად, ადვოკატ სამართალწარმოებაში სხვა მსგავსი ხასიათის საქმიანობის არანაკლებ 10-წლიანი გამოცდილება. კანდიდატებს უნდა ჰქონდეთ სამართლის მაგისტრის ხარისხი, რომლის პროგრამაც მოიცავდა საერთ სამართალს (განსაკუთრებით კი ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალსა და საერთაშორი სამართალს) და საერთაშორისო სასამართლოებთან, ან საერთაშორისო ორგანიზაციებთან და სასამართლოებთან საერთაშორისო სისხლის სამართლის, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლ უფლებათა საერთაშორისო სამართლის საკითხებზე მუშაობის არანაკლებ 10-წლიანი გამოცდილება.

იუსტიციის სასწავლო ცენტრი აწარმოებს საკონკურსო განაცხადების პირველად გადარჩევას ტესტირების ადმინისტრირებას, რომელიც კანდიდატებმა ინგლისურ ან ფრანგულ ენაზე უნდა წეროს.

დამატებითი ინფორმაცია

ტესტირების დავალებას შეადგენს და კანდიდატის ნაწერს 10-ბალიანი სისტემით შეაფასებს სპეციალ მოწვეული კონსულტანტი ან კონსულტანტები, რომლებსაც ექნებათ ჰააგის სასამართლოს სისტე სამართლის ტრიბუნალში მუშაობის მნიშვნელოვანი გამოცდილება.

საუკეთესო შედეგების მქონე 5 კანდიდატი, რომლებსაც მიღებული ექნება არანაკლებ 6 ქული საქართველოს მთავრობას, რომელიც 2 საუკეთესო კანდიდატს დასამტკიცებლად წარუდგენს პარლამენტს. პარლამენტი კანდიდატებს მოუსმენს და კენჭს უყრის საქართველოს საკონსტიტუცი წევრის არჩევისთვის დადგენილი მოსმენისა და კენჭისყრის პროცედურით – სრული შემადგენლობის უმრავლესობით.

ტესტირების თარიღისა და სხვა საორგანიზაციო საკითხების შესახებ დამატებით ინფორმაციას მიიღებ ელექტრონულ მისამართზე.

დეტალური ინფორმაციისთვის გთხოვთ, იხილოთ დანართები:

1. საქართველოს მთავრობის 2020 წლის 30 იანვრის N59 (http://www.tcj.gov.ge/uploads/files/dadgenileba_59.pdf)

2. ავტობიოგრაფიის (Curriculum Vitae) ფორმა ინგლისურ ენაზე; (http://www.tcj.gov.ge/uploads/files/Curriculu

3. ავტობიოგრაფიის (Curriculum Vitae) ფორმა ფრანგულ ენაზე. (http://www.tcj.gov.ge/uploads/files/Curriculu

საკონტაქტო ინფორმაცია:

ელექტრონული მისამართი: administracia@tcj.gov.ge (mailto:administracia@tcj.gov.ge)

საკონტაქტო ტელეფონი: (032) 294 22 03,

საკონტაქტო პირი: თინათინ ციხარიძე

© 2015 სსიპ- საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი

დანართ N1

ვაკანსიის №59626

პოზიციის დასახელება	2020 წელს სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოში ასარჩევად საქართველოდან წარსადგენი მოსამართლეობის კანდიდატი
კონკურსის ტიპი	სხვა
ორგანიზაცია	სსიპ - იუსტიციის სასწავლო ცენტრი
კატეგორია	იურიდიული
განცხადების ბოლო ვადა	13.02.2020
თანამდებობრივი სარგო	შეთანხმებით
ადგილების რაოდენობა	5
სამსახურის ადგილმდებარეობა	თბილისი

ფუნქციები

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოში საქართველოს წარმომადგენლობა

მოთხოვნები

მინიმალური განათლება	მაგისტრი
სამუშაო გამოცდილება	10 წელი
პროფესია	იურისტი

საკონკურსო თემატიკა

"2020 წელს სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოში ასარჩევად საქართველოდან წარსადგენი მოსამართლეობის კანდიდატის შერჩევის წესი“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 30 იანვრის N59 დადგენილება.

საკონტაქტო ინფორმაცია

საკონკურსო კომისიის მისამართი	administracia@tcj.gov.ge
საკონტაქტო ტელეფონები	032 2942203
საკონტაქტო პირი	თინათინ ცინარიძე

დამატებითი მოთხოვნები

მოსამართლეობის კანდიდატმა აუცილებელია განაცხადი პირადად წარმოადგინოს იუსტიციის სასწავლო ცენტრში 2020 წლის 13 თებერვლის ჩათვლით შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: administracia@tcj.gov.ge

რომის სტატუტისა და საქართველოს მთავრობის 2020 წლის 30 იანვრის N59 დადგენილების შესაბამისად, ჰააგის სასამართლოში ასარჩევად საქართველოდან წარსადგენი მოსამართლეობის კანდიდატი უნდა იყოს:

 მაღალი მორალური და პროფესიული რეპუტაციის მქონე პირი, რომელიც სრულყოფილად ფლობს ჰააგის სასამართლოს ერთ-ერთ სამუშაო ენას (ინგლისური ან ფრანგული).

საქართველოს ქმედუნარიანი მოქალაქე 35 წლის ასაკიდან, რომელსაც აქვს სამართლის მაგისტრის ხარისხი და არანაკლებ 10-წლიანი გამოცდილება. კანდიდატს აღნიშნული განათლება და გამოცდილება უნდა ჰქონდეს სისხლის სამართლის ან საერთაშორისო სამართლის მიმართულებით.

კერძოდ, “A” კატეგორიის კანდიდატებს უნდა ჰქონდეთ სამართლის მაგისტრის ხარისხი, რომლის პროგრამაც მოიცავდა სისხლის სამართალს ან საერთაშორისო სისხლის სამართალს და სისხლის სამართლის მიმართულებით მოსამართლედ, პროკურორად, ადვოკატად ან სისხლის სამართალწარმოებაში სხვა მსგავსი ხასიათის საქმიანობის არანაკლებ 10-წლიანი გამოცდილება.

“B” კატეგორიის კანდიდატებს უნდა ჰქონდეთ სამართლის მაგისტრის ხარისხი, რომლის პროგრამაც მოიცავდა საერთაშორისო საჯარო სამართალს (განსაკუთრებით კი ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალსა და საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალს) და საერთაშორისო სასამართლოებთან, ან საერთაშორისო ორგანიზაციებთან და საერთაშორისო სასამართლოებთან საერთაშორისო სისხლის სამართლის, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლისა და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის საკითხებზე მუშაობის არანაკლებ 10-წლიანი გამოცდილება.

დამატებითი ინფორმაცია

მოსამართლეობის კანდიდატმა აუცილებელია განაცხადი პირადად წარმოადგინოს იუსტიციის სასწავლო ცენტრში 2020 წლის 13 თებერვლის ჩათვლით შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: administracia@tcj.gov.ge

განაცხადთან ერთად მოსამართლეობის კანდიდატმა უნდა:
ა) წარმოადგინოს ავტობიოგრაფია (Curriculum Vitae), როგორც ქართულად, ასევე ინგლისურად ან ფრანგულად მთავრობის დადგენილებით დამტკიცებულ სამოდელო ფორმატში;
ბ) ცალკე ფურცელზე წარმოადგინოს ახსნა, თუ როგორ აკმაყოფილებს შერჩევის წესის მე-2 მუხლით დადგენილ კრიტერიუმებს, როგორც ქართულად ასევე ჰააგის სასამართლოს ერთ-ერთ სამუშაო ენაზე (ინგლისური ან ფრანგული);
გ) მიუთითოს, ჰააგის სასამართლოს რომელ სამუშაო ენაზე (ინგლისური ან ფრანგული) სურს საკონკურსო პროცედურების გავლა;
დ) მიუთითოს, „კატეგორია A“-ს (სისხლის სამართალი), თუ „კატეგორია B“-ს (საერთაშორისო სამართალი) ფარგლებში სურს საკონკურსო პროცედურების გავლა;
ე) განაცხადს დაურთოს მასში მითითებული ინფორმაციის დამადასტურებელი საბუთები.

დეტალური ინფორმაციისა და მთავრობის დადგენილებით დამტკიცებული ავტობიოგრაფიის სამოდელო ფორმატის გასაცნობად, გთხოვთ, ეწვიოთ ბმულს: http://www.tcj.gov.ge/ka/news/526/

გადაწყვეტილების მიღების ფორმა და ვადა

ტესტირების დავალებას შეადგენს და კანდიდატის ნაწერს 10-ბალიანი სისტემით შეაფასებს სპეციალურად ამ მიზნით მოწვეული კონსულტანტი ან კონსულტანტები, რომლებსაც ექნებათ ჰააგის სასამართლოს სისტემაში ან სისხლის სამართლის ტრიბუნალში მუშაობის მნიშვნელოვანი გამოცდილება.

საუკეთესო შედეგების მქონე 5 კანდიდატი, რომლებსაც მიღებული ექნება არანაკლებ 6 ქულისა, წარედგინება საქართველოს მთავრობას, რომელიც 2 საუკეთესო კანდიდატს დასამტკიცებლად წარუდგენს საქართველოს პარლამენტს. პარლამენტი კანდიდატებს მოუსმენს და კენჭს უყრის საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის არჩევისთვის დადგენილი მოსმენისა და კენჭისყრის პროცედურით სრული შემადგენლობის სამი მეხუთედის უმრავლესობით.

კონკურსის ეტაპები

განცხადების გადარჩევა
წერითი დავალება

დანართი N1

ჰააგის სასამართლოში საქართველოდან წარსადგენი მოსამართლეები

ყველა ვაკანსია ამ ორგანიზაციის ყველა განცხადება ამოსაბეჭდი ვერსია

დასახელება: **ჰააგის სასამართლოში საქართველოდან წარსადგენი მოსამართლეები**

მომწოდებელი: იუსტიციის სასწავლო ცენტრი

გამოქვეყნდა: **03 თებერვალი** / ბოლო ვადა: **13 თებერვალი**

სსიპ საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი იწყებს 2020 წელს **ჰააგის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოში საქართველოდან წარსადგენიმოსამართლეობის კანდიდატობის მსურველთა საბუთების მიღებას**.

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 30 იანვრის N59 დადგენილებით დამტკიცებული "2020 წელს სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოში ასარჩევად საქართველოდან წარსადგენი მოსამართლეობის კანდიდატის შერჩევის წესის" (შემდგომ - შერჩევის წესი) შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი განაცხადების მიღებას იწყებს.

განაცხადის წარდგენის ფორმა და ვადა:

მოსამართლეობის კანდიდატმა განაცხადი პირადად უნდა წარმოადგინოს იუსტიციის სასწავლო ცენტრში **2020 წლის 13 თებერვლის** ჩათვლით შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: administracia@tcj.gov.ge

განაცხადთან ერთად მოსამართლეობის კანდიდატმა უნდა:

** წარმოადგინოს ავტობიოგრაფია (Curriculum Vitae), როგორც ქართულად, ასევე ინგლისურად ან ფრანგულად მთავრობის დადგენილებით დამტკიცებულ სამოდელო ფორმატში;
** ცალკე ფურცელზე წარმოადგინოს ახსნა, თუ როგორ აკმაყოფილებს შერჩევის წესის მე-2 მუხლით დადგენილ კრიტერიუმებს, როგორც ქართულად ასევე ჰააგის სასამართლოს ერთ-ერთ სამუშაო ენაზე (ინგლისური ან ფრანგული);
** მიუთითოს, ჰააგის სასამართლოს რომელ სამუშაო ენაზე (ინგლისური ან ფრანგული) სურს საკონკურსო პროცედურების გავლა;
** მიუთითოს, "კატეგორია A"-ს (სისხლის სამართალი), თუ "კატეგორია B"-ს (საერთაშორისო სამართალი) ფარგლებში სურს საკონკურსო პროცედურების გავლა;
** განაცხადს დაურთოს მასში მითითებული ინფორმაციის დამადასტურებელი საბუთები.

რომის სტატუტისა და საქართველოს მთავრობის 2020 წლის 30 იანვრის N59 დადგენილების შესაბამისად, ჰააგის სასამართლოში ასარჩევად საქართველოდან წარსადგენი მოსამართლეობის კანდიდატი უნდა იყოს:

მაღალი მორალური და პროფესიული რეპუტაციის მქონე პირი, რომელიც სრულყოფილად ფლობს ჰააგის სასამართლოს ერთ-ერთ სამუშაო ენას (ინგლისური ან ფრანგული).

mgroup
ყველა ვაკანსია ერთ გვერდზე

PEPSICO
ყველა ვაკანსია

ყველა ვაკანსია ერთ გვერდზე

საქართველოს ქმედუნარიანი მოქალაქე 35 წლის ასაკიდან, რომელსაც აქვს სამართლის მაგისტრის ხარისხი და არანაკლებ 10-წლიანი გამოცდილება. კანდიდატს აღნიშნული განათლება და გამოცდილება უნდა ჰქონდეს სისხლის სამართლის ან საერთაშორისო სამართლის მიმართულებით. კერძოდ, "A" კატეგორიის კანდიდატებს უნდა ჰქონდეთ სამართლის მაგისტრის ხარისხი, რომლის პროგრამაც მოიცავდა სისხლის სამართალს ან საერთაშორისო სისხლის სამართალს და სისხლის სამართლის მიმართულებით მოსამართლედ, პროკურორად, ადვოკატად ან სისხლის სამართალწარმოებაში სხვა მსგავსი ხასიათის საქმიანობის არანაკლებ 10-წლიანი გამოცდილება. "B" კატეგორიის კანდიდატებს უნდა ჰქონდეთ სამართლის მაგისტრის ხარისხი, რომლის პროგრამაც მოიცავდა საერთაშორისო საჯარო სამართალს (განსაკუთრებით კი ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალსა და საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალს) და საერთაშორისო სასამართლოებთან, ან საერთაშორისო ორგანიზაციებთან და საერთაშორისო სასამართლოებთან საერთაშორისო სისხლის სამართლის, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლისა და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის საკითხებზე მუშაობის არანაკლებ 10-წლიანი გამოცდილება.

იუსტიციის სასწავლო ცენტრი აწარმოებს საკონკურსო განაცხადების პირველად გადარჩევას და პროფესიული ტესტირების ადმინისტრირებას, რომელიც კანდიდატებმა ინგლისურ ან ფრანგულ ენაზე უნდა წეროონ.

დამატებითი ინფორმაცია:

ტესტირების დავალებას შეადგენს და კანდიდატის ნაწერს 10-ბალიანი სისტემით შეაფასებს სპეციალურად ამ მიზნით მოწვეული კონსულტანტი ან კონსულტანტები, რომლებსაც ექნებათ ჰააგის სასამართლოს სისტემაში ან სისხლის სამართლის ტრიბუნალში მუშაობის მნიშვნელოვანი გამოცდილება.

საუკეთესო შედეგების მქონე 5 კანდიდატი, რომლებსაც მიღებული ექნება არანაკლებ 6 ქულისა, წარედგინება საქართველოს მთავრობას, რომელიც 2 საუკეთესო კანდიდატს დასამტკიცებლად წარუდგენს საქართველოს პარლამენტს. პარლამენტი კანდიდატებს მოუსმენს და კენჭს უყრის საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის არჩევისთვის დადგენილი მოსმენისა და კენჭისყრის პროცედურით – სრული შემადგენლობის სამი მეხუთედის უმრავლესობით.

დეტალური ინფორმაციისთვის გთხოვთ, ეწვიოთ იუსტიციის სასწავლო ცენტრის ვებგვერდს: http://www.tcj.gov.ge

ყველა ვაკანსია ამოსაბეჭდი ვერსია

დანართი N1

From: **Administracia TCJ** Administracia@tcj.gov.ge
Subject: ჰააგის სასამართლოში საქართველოდან წარსადგენი მოსამართლეობის მსურველთა საბუთების მიღების ვადა გახანგრძლივდა
Date: 14 თებერვალი, 2020, 17:05
To: info@gba.ge, Info@mediation.ge, info@supremecourt.ge, s.saladze@gyla.ge, n.jomarjidze@gyla.ge, presscenter@pog.gov.ge, law@tsu.ge, chancellerlaw@tsu.ge, info@iliauni.edu.ge, rector@tsu.ge, chancellery@tsu.ge, info@iliauni.edu.ge, info@ug.edu.ge, ug@ug.edu.ge, info@cu.edu.ge, contact@ibsu.edu.ge, info@gau.ge, info@gtuni.edu.ge, info@openuni.edu.ge , info@gruni.edu.ge, info@freeuni.edu.ge, admin@gipa.ge, info@eu.edu.ge, info@eeu.edu.ge, info@newvision.ge, council@hcoj.gov.ge, admin@constcourt.ge, makapanadze@pog.gov.ge
Bcc: Administracia TCJ Administracia@tcj.gov.ge

მოგესალმებით,

ჰააგის სასამართლოში საქართველოდან წარსადგენი მოსამართლეობის კანდიდატის შერჩევის მიზნით, **საბუთების მიღების ვადა გახანგრძლივდა - იუსტიციის სასწავლო ცენტრი განაცხადებს 2020 წლის 20 თებერვლის ჩათვლით მიიღებს.**

იუსტიციის სასწავლო ცენტრში განაცხადების მიღება 2020 წლის 03 თებერვლიდან - 13 თებერვლის ჩათვლით მიმდინარეობდა. განაცხადების მიღების ვადა გაგრძელდა, რათა მაქსიმალურად ბევრმა კანდიდატმა შეძლოს კონკურსში მონაწილეობის მიღება.

2020 წლის 20 თებერვლის ჩათვლით განაცხადების გამოგზავნა შესაძლებელია ელექტრონულ მისამართზე: administracia@tcj.gov.ge მსურველები დოკუმენტაციის გამოსაგზავნად და დეტალური ინფორმაციის მისაღებად ეწვიეთ ბმულს: http://tcj.gov.ge/ka/news/526/

როგორც ცნობილია, 2020 წლის 30 იანვარს საქართველოს მთავრობამ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოში საქართველოდან წარსადგენი მოსამართლეობის კანდიდატის შერჩევის წესი დაამტკიცა. მთავრობის გადაწყვეტილებით, იუსტიციის სასწავლო ცენტრი აწარმოებს პროფესიული ტესტირების ადმინისტრირებას, რომელიც კანდიდატებმა ინგლისურ ან ფრანგულ ენაზე უნდა წეროონ. ტესტირების დავალებას შეადგენენ და კანდიდატის ნაწერს 10-ბალიანი სისტემით შეაფასებენ სპეციალურად ამ მიზნით მოწვეული უცხოელი კონსულტანტები, რომლებსაც აქვთ ჰააგის სასამართლოს სისტემაში უმაღლეს პოზიციებზე მუშაობის მნიშვნელოვანი გამოცდილება.

იუსტიციის სასწავლო ცენტრი წერითი ტესტირების შედეგების მიხედვით გამოკვეთილ არაუმეტეს ხუთ საუკეთესო კანდიდატს საქართველოს მთავრობას წარუდგენს (ამისათვის ტესტირებაში კანდიდატმა მინიმუმ 6 ქულა მაინც უნდა მიიღოს), რის შემდეგაც მთავრობა არაუმეტეს 2 საუკეთესო კანდიდატს დასამტკიცებლად წარუდგენს საქართველოს პარლამენტს. პარლამენტი კანდიდატს/ კანდიდატებს მოუსმენს და კენჭს უყრის საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის არჩევისთვის დადგენილი მოსმენისა და კენჭისყრის პროცედურით – სრული შემადგენლობის სამი მეხუთედის უმრავლესობით.

6 ახალი მოსამართლე ჰააგის სასამართლოში 2020 წლის დეკემბერში მე-19 ასამბლეაზე უნდა შეირჩეს. მათ შორის, ერთი მოსამართლე აირჩევა აღმოსავლეთ ევროპიდან (ამ რეგიონიდან არჩეულ ჩეხ მოსამართლეს ვადა ეწურება). საქართველო სწორედ აღნიშნულ პოზიციაზე წარადგენს კანდიდატს. ჰააგის

მოსამართლეობის კანდიდატის წარდგენის ვადაა 2020 წლის 6 იანვრიდან 2020 წლის 30 მარტამდე პერიოდი.

გთხოვთ, უზრუნველყოთ ინფორმაციის გავრცელება.

გისურვებთ წარმატებას!

სსიპ საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი
მისამართი: ანა პოლიტკოვსკაიას ქ. N1, 0186 თბილისი, საქართველო
ტელ.: (+995 32) 294 22 03
ელ.ფოსტა.: administracia@tcj.gov.ge
ვებგვერდი: www.tcj.gov.ge
www.justice.gov.ge

საქართველოს იუსტიციის
სასწავლო ცენტრი

Kvareli Training Center
Training Center of Justice

ISO 9001:2015 სტანდარტის შესაბამისად
სერთიფიცირებული ორგანიზაცია
P **დაფიქრდით სანამ დაბეჭდავთ, გადაარჩინეთ თუნდაც ერთი ხე.**

დანართი N2

უსდ-კოდი	უსდ-ს სახელწოდება	საფეხური	პროგრამის სახელწოდება
30001	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ბაკალავრიატი	სამართალი
30001	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ბაკალავრიატი	საერთაშორისო სამართალი
30001	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	მაგისტრატურა	სამართალი
30001	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	მაგისტრატურა	საერთაშორისო სამართალი
30001	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	დოქტორანტურა	სამართალი
30002	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	მაგისტრატურა	სამართალი
30002	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	ბაკალავრიატი	სამართალი
30003	სსიპ - იღიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	ბაკალავრიატი	სამართალი
30003	სსიპ - იღიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	მაგისტრატურა	კერძო (ბიზნეს) სამართალი
30003	სსიპ - იღიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	მაგისტრატურა	საჯარო სამართალი და პოლიტიკა
30003	სსიპ - იღიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	მაგისტრატურა	სისხლის სამართალი.
30004	სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ბაკალავრიატი	სამართალი
30004	სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი	მაგისტრატურა	სისხლის სამართალი
30004	სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი	მაგისტრატურა	საჯარო სამართალი
30007	სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ბაკალავრიატი	სამართალმცოდნეობა
30007	სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	მაგისტრატურა	სამართალი (სპეციალობა: საჯარო სამართალი, სისხლის სამართალი)
30008	სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ბაკალავრიატი	სამართალი
30008	სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი	მაგისტრატურა	სამართალი
30009	სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ბაკალავრიატი	სამართალი
30010	სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი	ბაკალავრიატი	სამართალი
30010	სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი	მაგისტრატურა	სამართალი
30011	შპს - საქართველოს უნივერსიტეტი	მაგისტრატურა	საერთაშორისო ბიზნეს სამართალი. (ინგლისურენოვანი)
30011	შპს - საქართველოს უნივერსიტეტი	მაგისტრატურა	სამართალი
30011	შპს - საქართველოს უნივერსიტეტი	ბაკალავრიატი	სამართალმცოდნეობა
30013	შპს - კავკასიის უნივერსიტეტი	ბაკალავრიატი	სამართალი
30013	შპს - კავკასიის უნივერსიტეტი	დოქტორანტურა	სამართალი;

30013	შპს - კავკასიის უნივერსიტეტი	მაგისტრატურა	სამართალი.
30016	შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი	ბაკალავრიატი	სამართალმცოდნეობა
30016	შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი	მაგისტრატურა	შედარებითი კომერციული სამართალი
30020	შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ	ბაკალავრიატი	სამართალი
30020	შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ	მაგისტრატურა	სამართალი.
30022	შპს - ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი	ბაკალავრიატი	სამართალი
30022	შპს - ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი	მაგისტრატურა	სამართალი
30022	შპს - ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი	დოქტორანტურა	სამართალი
30023	შპს "გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი"	მაგისტრატურა	სისხლის სამართალი
30023	შპს "გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი"	ბაკალავრიატი	სამართალი
30023	შპს "გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი"	მაგისტრატურა	კერძო სამართალი
30024	შპს - თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტი	მაგისტრატურა	სისხლის სამართალი
30024	შპს - თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტი	მაგისტრატურა	კერძო (ბიზნეს) სამართალი
30024	შპს - თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტი	ბაკალავრიატი	სამართალმცოდნეობა
30025	შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი	ბაკალავრიატი	სამართალმცოდნეობა
30025	შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი	მაგისტრატურა	სამართალი
30026	შპს - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი	ბაკალავრიატი	სამართალი
30026	შპს - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი	მაგისტრატურა	სამართალი
30027	შპს - თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი	ბაკალავრიატი	სამართალი
30027	შპს - თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი	მაგისტრატურა	ბიზნეს სამართალი
30028	შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი	ბაკალავრიატი	სამართალმცოდნეობა
30028	შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი	მაგისტრატურა	სამართალი
30028	შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი	დოქტორანტურა	სამართალი;
30031	ა(ა)იპ "საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბეღ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი"	ბაკალავრიატი	სამართალმცოდნეობა
30033	ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი	მაგისტრატურა	სამართალი.
30033	ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი	ბაკალავრიატი	სამართალი
30036	ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი	მაგისტრატურა	საერთაშორისო სამართალი
30036	ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი	ბაკალავრიატი	სამართალი
30040	შპს - თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი	ბაკალავრიატი	სამართალი
30041	სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი	ბაკალავრიატი	სამართალი
30045	შპს - სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტი	მაგისტრატურა	სამართალი
30045	შპს - სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტი	ბაკალავრიატი	სამართალი

30060	შპს - ევროპის უნივერსიტეტი	მაგისტრატურა	სამართალი
30060	შპს - ევროპის უნივერსიტეტი	ბაკალავრიატი	სამართალი
30065	შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი	ბაკალავრიატი	სამართალი
30065	შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი	დოქტორანტურა	სამართალი
30065	შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი	მაგისტრატურა	სამართალი
30066	სსიპ - სამცხე - ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ბაკალავრიატი	სამართალი
30066	სსიპ - სამცხე - ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი	მაგისტრატურა	სისხლის სამართალი
30076	ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი	ბაკალავრიატი	სამართალი
30076	ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი	მაგისტრატურა	შედარებითი კერძო და საერთაშორისო სამართალი
30088	შპს თბილისის დავით აღმაშენებლის სასწავლო უნივერსიტეტი	მაგისტრატურა	სამართალი

დანართ N3

From: **Administracia TCJ** Administracia@tcj.gov.ge
Subject: ჰააგის სასამართლოში საქართველოდან წარსადგენი მოსამართლეობის კანდიდატების შესახებ -საინფორმაციო შეხვედრა
Date: 7 თებერვალი, 2020, 17:56
To: Administracia TCJ Administracia@tcj.gov.ge
Bcc: info@gba.ge, Info@mediation.ge, info@supremecourt.ge, s.saladze@gyla.ge, n.jomarjidze@gyla.ge, presscenter@pog.gov.ge, law@tsu.ge, chancellerylaw@tsu.ge, info@iliauni.edu.ge, rector@tsu.ge, chancellery@tsu.ge, info@iliauni.edu.ge, info@ug.edu.ge, ug@ug.edu.ge, info@cu.edu.ge, contact@ibsu.edu.ge, info@gau.ge, info@gtuni.edu.ge, info@openuni.edu.ge , info@gruni.edu.ge, info@freeuni.edu.ge, admin@gipa.ge, info@eu.edu.ge, info@eeu.edu.ge, info@newvision.ge, council@hcoj.gov.ge, admin@constcourt.ge

მოგესალმებით,

გაცნობებთ, რომ სსიპ საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრში 2020 წლის 03 თებერვლიდან მიმდინარეობს სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოში საქართველოდან წარსადგენი მოსამართლეობის კანდიდატობის მსურველთა საბუთების მიღება.

მიმდინარე წლის **11 თებერვალს, 11 საათზე** (მისამართ: ანა პოლიტკოვსკაიას, ქუჩა N1) გიწვევთ საინფორმაციო შეხვედრაზე, რომლის ფარგლებშიც მიიღებთ დეტალურ ინფორმაციას ჰააგის სასამართლოში საქართველოდან წარსადგენი მოსამართლეობის კანდიდატის შერჩევის პროცედურებისა და ეტაპების შესახებ.

გთხოვთ, **დაგვიდასტუროთ დასწრება 2020 წლის 10 თებერვლის ჩათვლით,** ელ.ფოსტაზე: administracia@tcj.gov.ge, საკონტაქტო ტელეფონი: (032) 294 22 03.

პატივისცემით,

სსიპ საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი
მისამართი: ანა პოლიტკოვსკაიას ქ. N1, 0186 თბილისი, საქართველო
ტელ.: (+995 32) 238 22 59
ელ.ფოსტა.: administracia@tcj.gov.ge
ვებგვერდი: www.tcj.gov.ge
www.justice.gov.ge

საქართველოს იუსტიციის
სასწავლო ცენტრი

Kvareli Training Center
Training Center of Justice

ISO 9001:2015 სტანდარტის შესაბამისად
სერთიფიცირებული ორგანიზაცია
P **დაფიქრდით სანამ დაბეჭდავთ, გადაარჩინეთ თუნდაც ერთი ხე.**

დანართი N4

From: Administracia TCJ <Administracia@tcj.gov.ge>
Date: February 24, 2020 at 16:47:26 GMT+4
To:
Cc: Administracia TCJ <Administracia@tcj.gov.ge>
Subject: სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოში მოსამართლეობის კანდიდატობა

მოგესალმებით,

მადლობა ინფორმაციისთვის.

გაცნობებთ, რომ მოთხოვნის შესაბამისად, თქვენი კანდიდატურა მოიხსნა 2020 წელს სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოში ასარჩევად საქართველოდან წარსადგენი მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევი კონკურსიდან.

გისურვებთ წარმატებას!

სსიპ საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი

მისამართი: ანა პოლიტკოვსკაიას ქ. N1, 0186 თბილისი, საქართველო

ტელ.: (+995 32) 238 22 59

ელ.ფოსტა.: trainingcenter@tcj.gov.ge

ვებგვერდი: www.tcj.gov.ge

www.justice.gov.ge

From:
Sent: Sunday, February 23, 2020 12:46 AM
To: Administracia TCJ <Administracia@tcj.gov.ge>
Subject: Re: სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოში მოსამართლეობის კანდიდატობა

მოგესალმებით,

დიდი მადლობა გამოხმაურებისთვის და იმისთვის, რომ დაუშვით გამონაკლისი საელჩოში ტესტის დაწერაზე.

მაგრამ, მიმაჩნია, გამოცდები დაინიშნა ჩემთვის მეტად შემჭიდროვებულ დროში, რაც არსებულ რეალობაში ფიზიკურად არ მაძლევს საშუალებას მოვემზადო სათანადო დონეზე. შესაბამისად, მოგმართავთ თხოვნით, რათა ჩემი კანდიდატურა აღნიშნულ ვაკანსიაზე მოიხსნას კონკურსიდან.

კიდევ ერთხელ, დიდი მადლობა გაწეული დახმარებისთვის, ყურადღებისა და გულისხმიერებისათვის.

პატივისცემით,

On 21 Feb 2020, at 18:23, Administracia TCJ <Administracia@tcj.gov.ge> wrote:

მოგესალმებით,

მადლობას მოგახსენებთ, რომ დაინტერესდით და მონაწილეობა მიიღეთ (წარმოადგინეთ რეზიუმე) 2020 წელს სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოში საქართველოდან წარსადგენი მოსამართლეობის კანდიდატის შერჩევის პროცესში.

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 30 იანვრის N59 დადგენილებით დამტკიცებული „2020 წელს სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოში ასარჩევად საქართველოდან წარსადგენი მოსამართლეობის კანდიდატის შერჩევის წესის“ მე-3 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, **სამ დღის ვადაში (არაუგვიანეს 24 თებერვლის)** წარმოგვიდგინოთ სრულყოფილად დოკუმენტაცია ელ.მისამართზე: administracia@tcj.gov.ge:

ა) პირადობის დამადასტურებელი **დოკუმენტის ასლი;**

ბ) ცალკე ფურცელზე ახსნა, თუ როგორ აკმაყოფილებს შერჩევის წესის მე-2 მუხლით დადგენილ კრიტერიუმებს ქართულად ასევე ჰააგის სასამართლოს ერთ-ერთ სამუშაო ენაზე (ინგლისური ან ფრანგული);

გ) განაცხადს დაურთოთ მასში მითითებული ინფორმაციის **დამადასტურებელი საბუთები.**

თხოვნის შესაბამისად, გიდასტურებთ, რომ შესაძლებელია **ტესტირება ჩააბაროთ** საქართველოს საელჩოში --.

გთხოვთ, **არაუგვიანეს 2020 წლის 24 თებერვლის, 15:00 საათისა** (საქართველოს დროით) დაგვიდასტუროთ თქვენთვის მისაღები ტესტირების თარიღი, მიმდინარე წლის 25 ან 26 თებერვალი.

გისურვებთ წარმატებას,

სსიპ საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი

მისამართი: ანა პოლიტკოვსკაიას ქ. N1, 0186 თბილისი, საქართველო

ტელ.: (+995 32) 238 22 59

ელ.ფოსტა.: administracia@tcj.gov.ge

ვებგვერდი: www.tcj.gov.ge

www.justice.gov.ge

ISO 9001:2015 სტანდარტის შესაბამისად

სერთიფიცირებული ორგანიზაცია

დაფიქრდით სანამ დაბეჭდავთ, გადაარჩინეთ თუნდაც ერთი ხე.

დანართ N5

საქართველოს იუსტიციის
სასწავლო ცენტრი

2020 წელს სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოში საქართველოდან წარსადგენი მოსამართლეობის კანდიდატის ტესტირების შედეგები

კანდიდატის სახელი /გვარი	პირადი ნომერი	დაბადების თარიღი	თეორიული ნაწილი (კონსულტანტი - სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს ყოფილი მოსამართლე, ეკატერინე ტრენდაფილოვა)	პრაქტიკული საკითხები (კონსულტანტი - სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს ყოფილი განმწესრიგებლი, ჰერმან ვან ჰებელი)	ჯამში ქულა
გოჩა ლორთქიფანიძე	01017007005	03.02.1964	2.5	3.5	6

სსიპ საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრის დირექტორი ხათუნა კასრაძე	6.3.2023

საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი
TRAINING CENTER OF JUSTICE OF GEORGIAN LEPL
204423230

დანართი 6

From: incident@cloud.gov.ge
Sent: Friday, January 31, 2020 3:38 PM
To:
Subject: მოთხოვნა დარეგისტრირებულია. ID: [IR64818]

Smart Logic
Incident ID: IR64818

ძვირფასო

თქვენი მოთხოვნა დარეგისტრირებულია.

ინციდენტის დეტალები

შინაარსი:

მოგესალმებით,

გაცნობებთ, რომ იუსტიციის სასწავლო მეილზე - administracia@tcj.gov.ge წვდომა დაშვებულია ორ თანამშრომელზე @tcj.gov.ge და @tcj.gov.ge). მიმდინარე წლის 03 თებერვლიდან, საქართველოს მთავრობის N59 დადგენილების შესაბამისად, სასწავლო ცენტრმა უნდა უზრუნველყოს სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოში საქართველოს წარსადგენი მოსამართლეობის კანდიდატების შერჩევის პროცესის ორგანიზება/ადმინისტრირება. დოკუმენტაციის მიღება უნდა განხორციელდეს მითითებულ მეილზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ, მეილზე - administracia@tcj.gov.ge შეზღუდოთ წვდომის უფლება და დაუშვათ მხოლოდ ერთ მომხმარებელზე (მთავარი იურისტი - @tcj.gov.ge).

ამ ინციდენტის დამატებითი დეტალები შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე:
https://support.cloud.gov.ge

ეს არის ავტომატურად დაგენერირებული იმეილი System Center Service Manager-ისგან.

დანართ N7

თანხმობის ხელწერილი

მე, [illegible] თანხმობას ვაცხადებ, საქართველოს მთავრობის 2020 წლის 30 იანვრის N59 დადგენილებით დამტკიცებული „2020 წელს სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოში ასარჩევად საქართველოდან წარსადგენი მოსამართლეობის კანდიდატის შერჩევის წესის“ (შემდგომ - შერჩევის წესი) ფარგლებში სსიპ საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრის მიერ დამუშავდეს ჩემს მიერ შერჩევის ეტაპზე წარმოდგენილი დოკუმენტაცია/პერსონალური ინფორმაცია.

თანახმა ვარ ინფორმაცია:

1. არ გამჟღავნდეს ☐
2. გამჟღავნდეს ☒
3. გამჟღავნდეს მხოლოდ გამსვლელი ქულის მიღების შემთხვევაში ☐

ინფორმირებული ვარ და ვეთანხმები, რომ ჩემი ვინაობა და პირადი მონაცემები გამჟღავნდეს შერჩევის წესის დაცვით საქართველოს მთავრობის წინაშე წარსადგენი მოსამართლეობის კანდიდატების სიაში მოხვედისთანავე.

[illegible]
ხელმოწერა

20/02/2020
თარიღი

დანართი N8

საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი

Text KA0100385325718 20

0186, ქ. თბილისი, ანა პოლიტკოვსკაიას ქ. №1 Tel/Fax: (+995 32) 38 22 59; №1 Ana Politkovskaia st, Tbilisi, Georgia
www.tcj.gov.ge E-mail:trainingcenter@tcj.gov.ge

№ 14/273

05 / მარტი / 2020 წ.

საქართველოს მთავრობას

გაცნობებთ, რომ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 30 იანვრის N59 დადგენილებით დამტკიცებული, "2020 წელს სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოში ასარჩევად საქართველოდან წარსადგენად მოსამართლეობის კანდიდატის შერჩევის წესის" (შემდგომში - შერჩევის წესი) მე-3 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, 2020 წლის 3 თებერვალს, საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრმა უზრუნველყო კონკურსის შესახებ ინფორმაციის საჯაროდ გამოქვეყნება სხვადასხვა საკომუნიკაციო საშუალებით (ცენტრის ვებგვერდსა და Facebook გვერდზე, აგრეთვე, www.jobs.ge, www.hr.gov.ge). ინფორმაციის მაქსიმალური ხელმისაწვდომობისთვის, წერილები გაეგზავნა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს, საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს, საქართველოს უზენაეს სასამართლოს, საქართველოს პროკურატურას, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციას, საქართველოს მედიატორთა ასოციაციას, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსათვის საქართველოს კოალიციის ხელმძღვანელ არასამთავრობო ორგანიზაციას - საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას კოალიციის წევრი ორგანიზაციებისა და ამ სფეროში მომუშავე სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის ინფორმაციის მიწოდების მიზნით, აგრეთვე, საქართველოს ავტორიზებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს, რომლებიც ახორციელებენ სამართლის პროგრამებს (ჯამში 29 უნივერსიტეტი). 2020 წლის 6 თებერვალს, ვაკანსიის შესახებ დეტალური ინფორმაციის მიწოდების მიზნით, ზემოხსენებული უწყებებისა და ორგანიზაციების უფლებამოსილ პირებთან განხორციელდა სატელეფონო კომუნიკაცია ვაკანსიის შესახებ დეტალური ინფორმაციის მიწოდების მიზნით.

კონკურსისა და შერჩევის პროცედურების შესახებ დეტალური ინფორმაციის განხილვის მიზნით, 2020 წლის 11 თებერვალს, იუსტიციის სასწავლო ცენტრში გაიმართა საინფორმაციო შეხვედრა, რომელსაც დაესწრნენ საქართველოს პროკურატურის, იუსტიციის უმაღლესი საბჭოსა და არასამთავრობო ორგანიზაციების - საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციისა და ადამიანის უფლებათა ცენტრის წარმომადგენლები.

განაცხადების მიღება მიმდინარეობდა 3 თებერვლიდან 13 თებერვლის ჩათვლით. განაცხადი წარმოადგინა სულ ცხრა კანდიდატმა, რომელთაგან შერჩევის წესის მე-2 მუხლით დადგენილ მოთხოვნებს აკმაყოფილებდა ორი კანდიდატი. წარმატებული ორი კანდიდატიდან, ერთ-ერთის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში გამოვლინდა ხარვეზი, რომლის აღმოსაფხვრელადაც, შერჩევის წესის შესაბამისად, მას განესაზღვრა სამდღიანი ვადა. აღნიშნულ ვადაში კანდიდატმა არ წარმოადგინა საჭირო დოკუმენტაცია და დამატებით გვაცნობა, რომ აღარ სურდა კონკურსში მონაწილეობა.

წარმატებულ კანდიდატთა სიმცირის გამო, განაცხადების მიღების ვადა გაგრძელდა 2020 წლის 20 თებერვლის ჩათვლით, რის შესახებაც ინფორმაცია მიეწოდა დადგენილების მე-3 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ ყველა უწყებას, მიმდინარე წლის 14 თებერვალს.

2020 წლის 20 თებერვალს ერთადერთ კანდიდატს, რომელიც სრულად აკმაყოფილებდა დადგენილ მოთხოვნებს, ტესტირება ჩაუტარდა იუსტიციის სასწავლო ცენტრში, ინგლისურ ენაზე. გამოცდა გაგრძელდა 6 საათი. წერითი დავალება მოიცავდა სამ ღია კითხვას თეორიულ საკითხებზე და სამ პრაქტიკულ კითხვას. კითხვები თეორიულ ნაწილზე მოამზადა სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს ყოფილმა მოსამართლემ, ეკატერინე ტრენდაფილოვამ, ხოლო გამოცდის პრაქტიკული საკითხები მომზადდა სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს ყოფილი განმწესრიგებლის, ჰერმან ვან ჰებელის მიერ. იმავე დღეს, კანდიდატის ნაშრომი, დეპერსონალიზირებული სახით გაიგზავნა ზემოხსენებულ კონსულტანტებთან შესაფასებლად.

2020 წლის 20 თებერვალს, დამატებულ ვადაში, განაცხადი წარმოადგინა კიდევ ერთმა კანდიდატმა, რომელსაც შერჩევის წესის მე-3 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, დოკუმენტაციის სრულყოფილად წარმოსადგენად

განესაზღვრა სამდღიანი ვადა. კანდიდატმა თანხმობა განაცხადა დოკუმენტაციის მხოლოდ ნაწილობრივ დაზუსტებაზე და ასევე ითხოვა, რომ წერითი დავალება შეესრულებინა მისთვის სასურველ დროს მარტის თვეში საზღვარგარეთ, სადაც ის ამჟამად ოჯახთან ერთად ცხოვრობს და მუშაობს. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსთან თანამშრომლობით, კანდიდატის მოთხოვნა ნაწილობრივ დაკმაყოფილდა და მისთვის შეთავაზებულ იქნა მისივე სურვილისებრ, წერითი დავალების შესრულება მოცემულ ქვეყანაში საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობაში, 25 ან 26 თებერვალს. საბოლოოდ, კანდიდატმა უარი განაცხადა ტესტირებაში მონაწილეობაზე, აღნიშნა რა, რომ ის ვერ მოასწრებდა მომზადებას. მან ითხოვა თავისი კანდიდატურის მოხსნა გამოცდიდან.

შესაბამისად, ზემომითითებული მოწვეული კონსულტანტების მიერ შეფასდა ერთი კანდიდატის ნაშრომი. შეფასების შედეგები იუსტიციის სასწავლო ცენტრმა 2020 წლის 25 და 26 თებერვალს მიიღო. კონსულტანტებმა თანხმობა განაცხადეს თავიანთი ვინაობის საჯაროდ გამჟღავნებაზე საქართველოს მთავრობისათვის მათ მიერ განხორციელებული შეფასების შედეგების წარდგენის მომენტიდან.

წინამდებარე წერილს თან ერთვის კანდიდატის - ბ-ნი გოჩა ლორთქიფანიძის ავტობიოგრაფია (*Curriculum Vitae*) ქართულ და ინგლისურ ენებზე, აგრეთვე ახსნა-განმარტება იმის შესახებ, თუ როგორ აკმაყოფილებს ეს კანდიდატი შერჩევის წესის მე-2 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით (კატეგორია B) დადგენილ კრიტერიუმებს.

ვინაიდან მოცემულმა კანდიდატმა დააგროვა შერჩევის წესის მე-4 მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული საჭირო ქულა, იუსტიციის სასწავლო ცენტრი დავალებისამებრ წარმოგიდგენთ მის საბუთებს შემდგომი განხილვისათვის.

დანართი: 23 (ოცდასამი) გვერდი.

პატივისცემით,

იუსტიციის სასწავლო ცენტრის დირექტორი ხელმოწერილია/ შტამპდასმულია ელექტრონულად ხათუნა კასრაძე